სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

16 აპრილი 2024

N 78

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 16 აპრილის №1-143 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 16 აპრილს, გამოცხადდეს კონკურსი „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ამ კონკურსის საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) 5 წევრის სავალდებულო პროფესიები განისაზღვროს შემდეგნაირად: რეჟისორი - 2, სცენარისტი - 1, პროდიუსერი - 1, მსახიობი - 1.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ეროვნული ელექტრონული ფასადური ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •